USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

GAA
იმიტირებული პროცესი კომერციულ არბიტრაჟში 2020

სტუდენტთა ეროვნული შეჯიბრი კომერციულ არბიტრაჟში

საქართველოს არბიტრთა ასოციაცია (GAA), USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, მართავს რიგით მეორე ეროვნულ შეჯიბრს კომერციულ არბიტრაჟში.

შეჯიბრი განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კომერციული არბიტრაჟით, სურთ შეიძინონ/გაიღრმაონ ცოდნა და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება.

ამ ინიციატივის მიზანია ხელი შეუწყოს კომერციული სამართლისა და კომერციული არბიტრაჟის შესწავლას, ასევე საარბიტრაჟო წესით დავების განხილვისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებას მომავალ იურისტებში.

შეჯიბრს ზეპირი ნაწილი გაიმართება 2022 წლის 22-23 აპრილს.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

- შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ნებისმიერი აკრედიტებული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს (რეგისტრაციის მომენტისათვის სტუდენტს დამთავრებული უნდა ჰქონდეს ბაკალავრიატის მე-2 კურსი.).

- შეჯიბრში მონაწილეობის მიღება **არ შეუძლიათ** პრაქტიკოს იურისტებს, რომლებიც რეგისტრაციის მომენტისთვის არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები.

- ერთი უნივერსიტეტიდან შეჯიბრში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს მხოლოდ 1-მა გუნდმა. თითო გუნდი უნდა შედგებოდეს 2 - 4 მონაწილისა და არაუმეტეს 2 მწვრთნელისგან.

როგორ წარიმართება შეჯიბრი?

შეჯიბრი გაიმართება ქართულ ენაზე და შედგება ორი ეტაპისგან:
I- ეტაპი მოიცავს წერილობითი დოკუმენტების მომზადებას.
თითოეული მონაწილე გუნდი მოამზადებს საარბიტრაჟო სარჩელს და საარბიტრაჟო შესაგებელს.

II - ეტაპი შედგება ზეპირი მოხსენებებისგან, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ წარადგინონ არგუმენტები საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე.

შეჯიბრის შესახებ დამატებით ინფორმაცია, საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენის ვადები, წესები და ზეპირი გამოსვლების პროცედურა მოცემულია შეჯიბრის წესებში.

შეჯიბრის საქმის მასალების (პრობლემის) გამოსვლამდე, რეგისტრირებული გუნდების მომზადების მიზნით, საქართველოს არბიტრთა ასოციაცია ჩაატარებს სემინარების სერიას: შესავალი არბიტრაჟში და სამართლებრივი წერა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ცოდნის გაღრმავებას და მათ შეჯიბრისთვის მომზადებას.

მონაწილე სტუდენტებს გადაეცემათ შეჯიბრში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ხოლო გამარჯვებულ გუნდებს/მონაწილეს, დამატებით, შესაბამის ნომინაციაში გამარჯვების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

რეგისტრაცია

- იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის მსურველმა გუნდებმა *2022 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით* რეგისტრაცია უნდა გაიარონ შემდეგი ბმულის საშუალებით: https://forms.gle/b6SVtWWtcKTqtDuo8

- დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ ელ. ფოსტაზე: gaacompetitions@gmail.com

- სიახლეებისთვის თვალი ადევნეთ ჩვენს Facebook გვერდს: https://www.facebook.com/GAAarbitrationmoot